ადგილობრივი სადამკვირვებლო მისია
მის: ა.შანიძის ქ. N8, 0179, თბილისი
არჩევნების ცხელი ხაზი: 790 333 111
www.CDD.ge; www.Facebook.com/CDD
საკონტაქტო პირი: ნინიკო ბოჯგუა 577191417
მისიის ხელმძღვანელი: ქეთევან ჩაჩავა

CDD-ს სადამკვირვებლო მისიის შეფასებით 2017 წლის ადგილობრიივი თვითმმართველობის აჩვენებმა, ჩაიარა მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, სერიოზული ხარვეზებისა და დარღვევების გარეშე. საარჩევნო უბნების უმრავლესობაზე კენჭისყრა კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა.

CDD-ს სადამკვირვებლო მისიის მიერ დაფიქსირდა რიგი პროცედურული დარღვევებიც, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დროულად მოხდა რეაგირება და მათი გამოსწორება.

CDD-ს სადამკვირვებლო მისია აგრძელებს კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებით შემაჯამებელი ოქმების შევსების სისრულისა და სიზუსტის მონიტორინგს, რომლის შედეგებსაც გავასაჯაროებთ უმოკლეს დროში.

მნიშვნელოვანია, კენჭისყრის პროცესის გაუმჯობესებიათვის, ასევე ხმის მიცემის/დათვლის პროცესის ფარულობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მომდევნო არჩევნებისათვის.

სადამკვირვებლო მისიის შესახებ:

2017 წლის 21 ოქტომბერის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობას CDD ქვეყნის მასშტაბით 100 კაციანი სადამკვირევბლო მისიით აკვირდება და მოიცავს საუბნო, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს. CDD სადამკვირვებლო მისია არჩევნების დღეს მოიცავს: საარჩევნო უბნის გახსნის, კენჭისყრის პროცესის, საარჩევნო უბნის დახურვასა და შედეგების შეჯამების პროცესის მონიტორინგს და სრულად ფარავს საქართველოს ტერიტორიაზე, ექვს საარჩევნო ოლქში, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ ათივე საარჩევნო უბნებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ საარჩევნო უბნებს, სადაც განხორციელდება სპეც. უბნების შედეგების დათვლა (ე.წ. დედა უბნებზე) და საარჩევნო უბნებს, სადაც სპეციალური სიების მეშვეობით მიმაგრებული არიან სხვადასხვა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები.